განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაფინანსების ფარგლებში, აცხადებს მრავალწლიან ტენდერს **სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის** შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდვის ობიექტის ჩამონათვალი:

ლოტი №	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება ლარში
1	ქართულენოვანი ლიტერატურა	145 დასახელება	16 413
2	რუსულენოვანი ლიტერატურა	172 დასახელება	6 487
3	ინგლისურენოვანი ლიტერატურა –ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი	125 დასახელება	37900
4	ინგლისურენოვანი ლიტერატურა—ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	37 დასახელება	6700
5	ინგლისურენოვანი ლიტერატურა–სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. (პოლიტიკის მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობის და სოციოლოგიის მიმართულებები)	29 დასახელება	14500
6	ინგლისურენოვანი ლიტერატურა— სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. (ფსიქოლოგიის მიმართულება)	14 დასახელება	16500
7	ინგლისურენოვანი ლიტერატურა- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. (საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება)	17 დასახელება	13700
8	უცხოენოვანი ლიტერატურა—იურიდიული ფაკულტეტი	18 დასახელება	6200
9	ინგლისურენოვანი ლიტერატურა—ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	109 დასახელება	12600
10	ინგლისურენოვანი ლიტერატურა—მედიცინის ფაკულტეტი	84 დასახელება	19 000
სულ	**შესყიდვის რაოდენობაა**	750 დასახელება	150 000

შენიშვნა:

1) შესყიდვის ობიექტის ზუსტი ჩამონათვალი და რაოდენობა იხილეთ თსუ-ს ვებ გვერდზე **www.tsu.ge;** (დანართი 1)

2) შესყიდვის ღირებულება მოცემულია ყველა გადასახადის (მათ შორის დღგ-ს) და ტრანსპორტირების ჩათვლით.

3) მეორადი წიგნების შემოთავაზებისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფასების ცხრილში გაკეთებული უნდა იყოს შესაბამისი მითითება.

2. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია **სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

3. საქონლის მოწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 2011 წლის 15 აპრილისა.

მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №3

4. სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის სატენდერო კომისიის აპარატში წარმოდგენის შემდეგ, განცხადების გამოქვეყნების დღიდან - 2010 წლის 2 დეკემბრის 18.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№3, თსუ-ს II-ლი კორპუსი, I სართული, შესყიდვების განყოფილება.

სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ „რესპუბლიკა", ანგ.ანგ.№GE22BR0000000000345634, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548. მიმღები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი(ები)ს მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას **სატენდერო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ქვითრის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არ მოხდება სატენდერო წინადადების განხილვა და კონვერტი გაუხსნელად დაუბრუნდება პრეტენდენტს.**

სატენდერო წინადადების წარდგენის **საფასური უნდა ჩაირიცხოს** შემდეგ ანგარიშზე:

№10591718543, სს ბანკი „რესპუბლიკა", მიმღები – **სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო.**

გადახდის დანიშნულება – სატენდერო საფასური, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურის ტენდერი.

ევროსა და აშშ დოლარში საფასური ჩაირიცხება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ საიტზე (www.spa.ge) მითითებულ ანგარიშზე.

6.1. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი დახურული კონვერტით ორ ეგზემპლარად – დედანი და ასლი, 2010 წლის 3 დეკემბრის 10.00 საათიდან 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ-ს II კორპუსი, I სართული შესყიდვების განყოფილება. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2010 წლის 3 დეკემბრის 14 საათზე. **ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.**

6.2. ზეპირი ვაჭრობა ჩატარდება 2010 წლის 14 დეკემბრის 16 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №3, თსუ-ს II კორპუსი, I სართული.

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1. **იურიდიული პირებისათვის**:

7.1.1. ინფორმაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.

7.1.2. ინფორმაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
7.1.3. ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
7.1.4. ცნობას საქალაქო სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

7.2. ფიზიკური პირებისათვის (ი/მ):
7.2.1. ინფორმაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ.
7.2.2. ცნობას საქალაქო სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

7.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:
7.3.1. ცნობას ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ (საგადასახადო ინსპექციიდან).
7.3.2. ინფორმაციას პრეტენდენტის სახელის, იურიდიული და ფაქტიური მისამართის, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტების, ხელმძღვანელის სახელი, გვარის შესახებ.

შენიშვნა:

- **ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც გაცემული (შედგენილი) უნდა იყოს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში, წარმოდგენილი უნდა იქნას დედნის ან სათანადო წესით დამოწმებული ასლების სახით.**
- **საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს შესყიდვის პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში**.

8. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული ცალკეული ლოტის მიხედვით.

9. სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

10. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიზნით **გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი** (ფორმით საბანკო გარანტია), ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
11. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სატენდერო კომისიის აპარატში, საკონტაქტო პირი, მთავარი სპეციალისტი: ირინა ყარაულაშვილი ტელ. 22 78 62, 877 53 35 54 მისამართი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.№3, თსუ-ს II კორპუსი.

სატენდერო კომისია